საქართველო: კლიმატგონივრული ირიგაციის სექტორის განვითარების პროგრამა (CSISDP)

ADB-ის სესხი № 54014-001

ქვემო სამგორის მარცხენა მაგისტრალური არხის სარწყავი სისტემა

სოციალური დაცვის ღონისძიებების შუალედური მონიტორინგის ანგარიში (SSMR)

საანგარიშო პერიოდი: პროექტის ძალაში შესვლიდან (2023 წლის 15 დეკემბერი) – 2025 წლის 31 დეკემბერი

მომზადებულია:

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს (MEPA), საქართველოს მთავრობის მიერ

მხარდაჭერით:

პროექტის განმახორციელებელი კონსულტანტი (PIC) — DOLSAR Engineering Inc.

დათქმა: ვინაიდან პროექტის საქმიანობა ჯერ სრულად არ დაწყებულა და PIU-ის გუნდი სრულად არ დაკომპლექტებულა, ანგარიშები ასახავს პროექტის ხელმოწერიდან 2025 წლის დეკემბრამდე პერიოდში განხორციელებულ საქმიანობას. ანგარიშის შემოთავაზებული სტრუქტურა განკუთვნილია სამომავლო მონიტორინგის ღონისძიებების მხარდასაჭერად და შესაბამისობაშია შემოთავაზებული ანგარიშგების ჩარჩოს სტრუქტურასთან.

წინამდებარე სოციალური მონიტორინგის ანგარიში მსესხებლის დოკუმენტია. მასში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა წინასწარი ხასიათის იყოს და აუცილებელი არ არის ასახავდეს ADB-ის დირექტორთა საბჭოს, ხელმძღვანელობის ან თანამშრომლების მოსაზრებებს.

ნებისმიერი ქვეყნის პროგრამის ან სტრატეგიის მომზადებისას, ნებისმიერი პროექტის დაფინანსებისას ან წინამდებარე დოკუმენტში კონკრეტული ტერიტორიის ან გეოგრაფიული არეალის ნებისმიერი აღნიშვნის ან მითითებისას, აზიის განვითარების ბანკი არ გამოთქვამს რაიმე მოსაზრებას ამ ტერიტორიის ან არეალის სამართლებრივი ან სხვა სტატუსის შესახებ.

აბრევიატურები

ADB — აზიის განვითარების ბანკი
AHH — ზემოქმედების ქვეშ მოქცეული შინამეურნეობა
AP — ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირი
CAP — მაკორექტირებელ ღონისძიებათა გეგმა
CSC — სამშენებლო ზედამხედველობის კონსულტანტი
CSISDP — კლიმატგონივრული ირიგაციის სექტორის განვითარების პროგრამა
EBRD — ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი
GA — „საქართველოს მელიორაცია“
GoG — საქართველოს მთავრობა
GRC — საჩივრების განხილვის კომისია
GRG — საჩივრების განხილვის ჯგუფი
GRM — საჩივრების განხილვის მექანიზმი
HH — შინამეურნეობა
IA — განმახორციელებელი სააგენტო
IFC — საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია
IP — მკვიდრი მოსახლეობა
IR — იძულებითი განსახლება
LARF — მიწის შესყიდვისა და განსახლების ჩარჩო დოკუმენტი
LARP — მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმა
MEPA — საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
NAPR — საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
NGO — არასამთავრობო ორგანიზაცია
NPM — პროექტის ადგილობრივი მენეჯერი
PAM — პროექტის ადმინისტრირების სახელმძღვანელო
PCP — საჯარო კომუნიკაციის პოლიტიკა
PIC — პროექტის განმახორციელებელი კონსულტანტი
PIU — პროექტის განმახორციელებელი ერთეული
PPE — ინდივიდუალური დაცვის საშუალებები
SDDR — სოციალური შესაბამისობის კვლევის ანგარიში
SSEMP — ობიექტის სპეციფიკური სოციალური და გარემოსდაცვითი მართვის გეგმა
SSMR — სოციალური დაცვის ღონისძიებების შუალედური მონიტორინგის ანგარიში

სარჩევი

1 შესავალი……Error! Bookmark not defined.

1.1 ანგარიშის მიზანი.....Error! Bookmark not defined.

1.2. ზოგადი ინფორმაცია.....Error! Bookmark not defined.

1.3 პრეამბულა.....Error! Bookmark not defined.

1.4 ძირითადი ინფორმაცია .....Error! Bookmark not defined.

2. პროექტის აღწერა და მიმდინარე საქმიანობა……..Error! Bookmark not defined.

2.1 პროექტის აღწერა .....Error! Bookmark not defined.

2.2 საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო (MEPA)Error! Bookmark not defined.

2.3 საქართველოს ფინანსთა სამინისტრო (MoF) .....Error! Bookmark not defined.

2.4 პროექტის განმახორციელებელი ერთეული (PIU).....Error! Bookmark not defined.

2.5 პროექტის მენეჯერი (NPM) .....Error! Bookmark not defined.

2.6 „საქართველოს მელიორაცია“ (სახელმწიფო საწარმო).....Error! Bookmark not defined.

3. პროექტის საპროექტო გადაწყვეტებში განხორციელებული ცვლილებების აღწერა Error! Bookmark not defined.

3.1 სოციალური დაცვის ღონისძიებების აღწერა ……10

3.2 დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაცია და ინფორმაციის გასაჯაროება ..Error! Bookmark not defined.

3.3 საჩივრების განხილვის მექანიზმი ……....12

3.4 საზოგადოებრივი ჯანმრთელობა და უსაფრთხოება.....Error! Bookmark not defined.

3.5 სოციალური მონიტორინგი და შესაბამისობის შეფასება Error! Bookmark not defined.

3.6 სოციალური ტრენინგი და შესაძლებლობების გაძლიერებაError! Bookmark not defined.

1 შესავალი

1.1 ანგარიშის მიზანი

1. წინამდებარე სოციალური დაცვის ღონისძიებების შუალედური მონიტორინგის ანგარიში (SSMR) მომზადებულია კლიმატგონივრული ირიგაციის სექტორის განვითარების პროგრამის (CSISDP), სესხი № L4379-GEO, ფარგლებში და მოიცავს პერიოდს პროექტის ძალაში შესვლიდან (2023 წლის 15 დეკემბერი) 2025 წლის 31 დეკემბრამდე. ანგარიშის მიზანია საანგარიშო პერიოდში სოციალური დაცვის ღონისძიებების მოთხოვნებთან შესაბამისობისა და მიწის შესყიდვისა და განსახლების (LAR) ამოცანების განხორციელების პროგრესის მიმოხილვა ADB-ის გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების მართვის პოლიტიკის (SPS, 2009) მოთხოვნების შესაბამისად. ანგარიში მოიცავს დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციებს, საჩივრების განხილვას, LAR-ის დოკუმენტების სტატუსსა და საანგარიშო პერიოდში წარმოშობილ სოციალურ უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

1.2 ზოგადი ინფორმაცია

1. წინამდებარე ანგარიში მომზადებულია კლიმატგონივრული ირიგაციის სექტორის განვითარების პროგრამის (პროგრამა, სესხი № L4379-GEO) ფარგლებში, რომელსაც აზიის განვითარების ბანკი (ADB) აფინანსებს და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო (MEPA) ახორციელებს. პროგრამა ხელს შეუწყობს პოლიტიკის რეფორმებსა და ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარებას წყლის რესურსების მართვისა და კლიმატგონივრული სარწყავი მომსახურების მიწოდების სფეროში. პროგრამის მოსალოდნელი ზემოქმედებაა სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და სასურსათო უსაფრთხოების გაუმჯობესება, საქართველოს ირიგაციის სტრატეგიის შესაბამისად.

2. პროგრამის მოსალოდნელი შედეგია აღმოსავლეთ საქართველოში მდგრადი, პროდუქტიული და კლიმატური ზემოქმედებისადმი მედეგი სასოფლო-სამეურნეო სისტემის გაძლიერება. შედეგი 1: ინსტიტუციური, მმართველობითი და ფინანსური მართვის სისტემების გაუმჯობესება. მე-2 და მე-3 შედეგების განხორციელებისთვის ხელშემწყობი გარემოს შესაქმნელად საჭიროა პოლიტიკის რეფორმები. შედეგი 2: სარწყავი სისტემების მოდერნიზაცია. შედეგი 3: ინოვაციური სასოფლო-სამეურნეო წარმოების სისტემების დემონსტრირება.

3. შედეგი 1 არ ითვალისწინებს ფიზიკურ სამუშაოებს, რომლებიც მიწის შესყიდვისა და

განსახლების (LAR) ზემოქმედებას გამოიწვევდა. პოლიტიკის ღონისძიებათა მატრიცა მოიცავს იძულებით განსახლებასთან დაკავშირებულ დაცვის ღონისძიებებს. შედეგი 2, რომელიც ითვალისწინებს აღმოსავლეთ საქართველოში, კახეთის რეგიონში, ქვემო სამგორის მარცხენა მაგისტრალური არხის მოძველებული და არასრულად ათვისებული სარწყავი სისტემის მოდერნიზაციას, სავარაუდოდ გამოიწვევს LAR-თან დაკავშირებულ ზემოქმედებას. შედეგი 3 ითვალისწინებს ინოვაციური ტექნოლოგიური გაუმჯობესებების სადემონსტრაციო სამუშაოების დანერგვას მეურნეობების დონეზე, მათ შორის წვეთოვანი და/ან დაწვიმებითი მორწყვისა და მიწის ლაზერული მოსწორების გამოყენებას, პროექტის ფარგლებში მოდერნიზაციისთვის შესარჩევ ერთ ან რამდენიმე ტერიტორიაზე.

4. ყველა სამუშაო განხორციელდება დაინტერესებული ფერმერების ნებაყოფლობითი მონაწილეობის საფუძველზე (შესაძლოა, ჰონორარის გადახდითაც). ფერმერები შეირჩევიან წამყვან ფერმერებად და ინოვაციური პაკეტების ტრენერებად. მათ აუნაზღაურდებათ სხვა ფერმერების მომზადებაზე დახარჯული დრო და ჩართულობა, აგრეთვე საკუთარ მეურნეობებში სადემონსტრაციო ვიზიტების ორგანიზება. გარდა ამისა, პროექტის საინვესტიციო სახსრებიდან, გრანტის საფუძველზე, ისინი მიიღებენ კლიმატგონივრულ აღჭურვილობასა და ტექნოლოგიებს. შესაბამისად, შედეგი 3-ის ფარგლებში განსახლების ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

5. აღმასრულებელი უწყებებია საქართველოს ფინანსთა სამინისტრო — პოლიტიკის კომპონენტისთვის (შედეგი 1) და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო (MEPA) — საინვესტიციო კომპონენტებისთვის (შედეგები 2 და 3). MEPA-ს ფარგლებში არსებული პროექტის განმახორციელებელი ერთეული (PIU) იქნება მე-2 და მე-3 შედეგების განმახორციელებელი ერთეული და მთლიანობაში პასუხისმგებელი იქნება განსახლების ამოცანებზე.

6. პროექტის მომზადება და სარწყავი სისტემის მოდერნიზაცია დაგეგმილია ორ ეტაპად, Design-Build ტიპის ხელშეკრულების საფუძველზე. I ეტაპი მოიცავს 1–4 ზონებად განსაზღვრული სარწყავი გამანაწილებელი ქსელების მოდერნიზაციას, ხოლო II ეტაპი — მე-5 და მე-6 ზონების მოდერნიზაციის სამუშაოებს (იხ. სურათი 1, ძირითადი ტექსტი). პროექტის განმახორციელებელი კონსულტანტი (Dolsar Engineering) 2025 წლის აპრილში დაიქირავეს, რომელიც ყველა ეტაპის მოდერნიზაციის სამუშაოებისთვის დეტალურ საინჟინრო პროექტებს ამზადებს.

1.3 პრეამბულა

7. საანგარიშო პერიოდში (2023 წლის 15 დეკემბერი – 2025 წლის 31 დეკემბერი) კლიმატგონივრული ირიგაციის სექტორის განვითარების პროგრამის ფარგლებში ფიზიკური სამშენებლო ან სარეაბილიტაციო სამუშაოები არ დაწყებულა. ამის მიზეზები იყო: (i) PIU-ის მენეჯერის შერჩევის გაჭიანურება — შერჩევის რამდენჯერმე ხელახლა გამოცხადების შემდეგ

მენეჯერი 2024 წლის ნოემბერში დაინიშნა; თუმცა, 2025 წლის მარტში, MEPA-ს ხელმძღვანელობის ცვლილების გამო, მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე იგი MEPA-ს ფარგლებში სხვა დონორის მიერ დაფინანსებულ პროექტში გადავიდა. შერჩევის კიდევ ერთხელ გამოცხადებისა და ADB-სა და MEPA-ს შორის განხილვების შემდეგ ახალი პროექტის მენეჯერი 2025 წლის ნოემბერში დაინიშნა; (ii) პროექტის განმახორციელებელი კონსულტანტის — საპროექტო და ზედამხედველობის კომპანიის — ხანგრძლივი და დაგვიანებული შერჩევა, რომელიც 2025 წლის აპრილში დასრულდა; და (iii) PIU-ის ძირითადი პერსონალის დაგვიანებული შერჩევა: მთავარი ინჟინერი, შესყიდვების სპეციალისტი და ფინანსური ოფიცერი 2024 წლის ნოემბერსა და 2025 წლის აპრილში დაიქირავეს, გარემოსდაცვითი სპეციალისტი — 2026 წლის იანვარში, ხოლო სოციალური დაცვის ღონისძიებების სპეციალისტი — 2026 წლის აპრილში. მე-5 და მე-6 ზონებისთვის მიმდინარეობს ცალკე შესაბამისობის კვლევა, რადგან სარეაბილიტაციო სამუშაოები „საქართველოს მელიორაციამ“ სახელმწიფო დაფინანსებით უკვე განახორციელა. მე-5 და მე-6 ზონების სოციალური შესაბამისობის კვლევის ანგარიშისა და მაკორექტირებელ ღონისძიებათა გეგმის პროექტის მიხედვით, მე-5 ზონა სრულად რეაბილიტირებულია, მე-6 ზონის 9 კმ — რეაბილიტირებული, ხოლო 8 კმ პირვანდელ მდგომარეობაშია. მე-5 და მე-6 ზონებში ფიზიკური სამუშაოები ამჟამად შეჩერებულია შესაბამისობის კვლევის დასრულებისა და ADB-ის განხილვის მოლოდინში.

8. საანგარიშო პერიოდში (პროექტის ძალაში შესვლიდან 2025 წლის დეკემბრამდე) PIU-ის სოციალური დაცვის ღონისძიებების მოთხოვნებთან შესაბამისობის საქმიანობა ორიენტირებული იყო მოსამზადებელი და საპროექტო ეტაპის ვალდებულებებზე. ძირითადი საქმიანობა მოიცავდა: (i) პროექტის განმახორციელებელი კონსულტანტის (Dolsar Engineering) შერჩევასა და დაქირავებას, რომელიც 2025 წლის აპრილში დასრულდა და რომლის გუნდშიც შედიან განსახლების საერთაშორისო და ეროვნული სპეციალისტები; (ii) მე-5 და მე-6 ზონებისა და მაგისტრალური არხის მონაკვეთი 1-ის სოციალური შესაბამისობის კვლევის ანგარიშების (SDDR) ტექნიკური დავალებების მომზადებას, რაც 2026 წლის მარტში PIC-ის ხელშეკრულების №1 ცვლილებით გაფორმდა; (iii) მე-5 და მე-6 ზონებისთვის SDDR-ის მომზადების პროცესის დაწყებას იმ სამუშაოების შესაფასებლად, რომლებიც „საქართველოს მელიორაციამ“ ADB-ის დაფინანსებამდე განახორციელა, რათა შესაბამისობის კვლევისა და მაკორექტირებელ ღონისძიებათა გეგმის მომზადების შემდეგ ეს ზონები პროექტის ფარგლებიდან გამოირიცხოს; (iv) მაგისტრალური არხის მონაკვეთი 1-ის (პკ 313+42-დან პკ 397+00-მდე) მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმის (LARP) განახლებას პროექტის დაზუსტებული მოცულობის, საველე გადამოწმების შედეგებისა და კონსულტაციების ჩანაწერების გათვალისწინებით; და (v) PIU-ის სოციალური დაცვის ღონისძიებების სპეციალისტის დაქირავებას 2026 წლის აპრილში. სოციალური დაცვის ღონისძიებების ყველა დარჩენილი მოთხოვნა — მათ შორის GRM-ის შექმნა, მშენებლობისწინა კონსულტაციები და LARP-ით გათვალისწინებული კომპენსაციების გადახდა — შესრულდება სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე. ვინაიდან ფიზიკური სამუშაოები არ განხორციელებულა, საანგარიშო პერიოდში არ ჩატარებულა ობიექტებზე სოციალური მონიტორინგი და ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ინსპექტირება და არ წარმოშობილა მშენებლობასთან დაკავშირებული სოციალური ზემოქმედება. სოციალური დაცვის ღონისძიებების ყველა მოთხოვნა კვლავ ძალაშია და ფიზიკური სამუშაოების დაწყებისთანავე შესრულდება.

1.4 ძირითადი ინფორმაცია

9. ქვემო სამგორის მარცხენა მაგისტრალური არხის საერთო სიგრძეა 48,850 მეტრი, საიდანაც 31,342 მეტრი რეაბილიტირებულია. არხი აშენდა 1961 წლიდან 1970-იანი წლების დასაწყისამდე; მისი გამტარუნარიანობა 3-დან 21 $მ^3$/წმ-მდე მერყეობს და იგი დაახლოებით 17,450 ჰექტარს რწყავს. ეს არის ღია ბეტონის არხი, რომელიც მოიცავს ტრაპეციულ და მართკუთხა მონაკვეთებს, გვირაბებს, წყალსაშვებ ნაგებობებს, ინვერსიულ სიფონებს, გამანაწილებლებს, ხიდებს, გზაგამტარებსა და მილებს. 50 წელზე მეტი ხნის ექსპლუატაციისა და მხოლოდ მცირე მოცულობის მოვლა-პატრონობის შემდეგ არხი და მასთან დაკავშირებული ნაგებობები ცუდ მდგომარეობაშია.

10. ფართოდ გავრცელებული დაზიანებები მოიცავს ჩამოშლილ და ეროზირებულ ბეტონის მოპირკეთებას, ნატანის დაგროვებას, დაზიანებულ ფილებს, ეროზირებულ გარდამავალ მონაკვეთებს, გაუმართავ ან დაკარგულ მექანიკურ მოწყობილობებსა და გვირაბების, ხიდებისა და ზედა გადასასვლელების კონსტრუქციულ დაზიანებებს. გვირაბების ნაწილობრივმა ინსპექტირებამ გამოავლინა სერიოზული დეფექტები, რომლებიც სრულ რეაბილიტაციას საჭიროებს, ხოლო მცენარეული საფარის ჭარბი ზრდა და ნატანის დაგროვება დამატებით ზღუდავს ჰიდრავლიკურ გამტარუნარიანობას.

11. პროექტის ფარგლებში მოდერნიზაციის სამუშაოები განხორციელდება არხის დაახლოებით 8.36 კმ სიგრძის მონაკვეთზე (პკ 313+42-დან პკ 397+00-მდე), არსებული ტრასის გასწვრივ, აგრეთვე მაგისტრალური არხის სხვა მონაკვეთებზე. სამუშაოები მოიცავს მცენარეული საფარისა და ნატანის გაწმენდას; არხის მონაკვეთების რეაბილიტაციას ტორკრეტბეტონისა და ადგილზე ჩამოსხმული ბეტონის გამოყენებით, ასევე დაზიანებული რკინაბეტონის ფილების შეცვლით; გალერეების, გვირაბების, ხიდების, გზაგამტარების, წყალსაშვები ნაგებობებისა და ინვერსიული სიფონების აღდგენას.

12. გვირაბების რეაბილიტაცია მოიცავს გაწმენდას, დრენაჟს, ვენტილაციას, კონსტრუქციულ გამაგრებასა და მშენებლობის პერიოდში მდგომარეობის დეტალურ კვლევას. ყველა სამუშაო შემოიფარგლება არსებული 4-მეტრიანი გასხვისების ზოლით, სადაც მისასვლელი გზები უკვე არსებობს, ხოლო ზემოქმედება პროექტის მოთხოვნების შესაბამისად იმართება. სურათი 1: ქვემო სამგორის მარცხენა მაგისტრალური არხის სარწყავი სისტემა.

სურათი 1: პროექტის რუკა



2. პროექტის აღწერა და მიმდინარე საქმიანობა

2.1. პროექტის აღწერა

13. კლიმატის ცვლილება აძლიერებს ზეწოლას წყლის რესურსებსა და სასოფლო-სამეურნეო სისტემებზე და ზრდის წყლის დეფიციტის, სასოფლო-სამეურნეო წარმოების დანაკარგებისა და საარსებო წყაროების დაუცველობის რისკს. ირიგაცია კვლავ არსებითად მნიშვნელოვანია სასოფლო-სამეურნეო პროდუქტიულობისა და სასურსათო უსაფრთხოებისთვის, უმცა არსებული სისტემების დიდი ნაწილი არაეფექტიანია, კლიმატის ცვალებადობის მიმართ მოწყვლადია და გარემოსდაცვით მდგრადობას ვერ უზრუნველყოფს.

14. კლიმატგონივრული ირიგაცია წარმოადგენს სტრატეგიულ მიდგომას წყლის გამოყენების ეფექტიანობის გასაუმჯობესებლად, კლიმატური მედეგობის გასაძლიერებლად და მდგრადი სასოფლო-სამეურნეო ზრდის მხარდასაჭერად. თანამედროვე ტექნოლოგიების, გაუმჯობესებული მართვის პრაქტიკისა და გაძლიერებული ინსტიტუციური ჩარჩოების ინტეგრირებით შესაძლებელია პროდუქტიულობის გაზრდა და ამავდროულად, კლიმატური და გარემოსდაცვითი რისკების შემცირება.

15. კლიმატგონივრული ირიგაციის სექტორის განვითარების პროგრამა შექმნილია კოორდინირებული ინვესტიციებისა და ღონისძიებების წარმართვისთვის, რომლებიც ხელს უწყობს ეფექტიან, მედეგ და თანასწორ სარწყავ განვითარებას. წყლის რესურსების მართვის გაუმჯობესებით, სოფლის მეურნეობის მედეგობის გაზრდითა და გრძელვადიანი სასურსათო უსაფრთხოებისა და მდგრადი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობით პროგრამა მხარს უჭერს ქვეყნის კლიმატურ და განვითარების მიზნებს.

16. სოფლის მეურნეობა კვლავ კრიტიკულად მნიშვნელოვანი სექტორია საქართველოს ეკონომიკისა და სოფლად მცხოვრები მოსახლეობის საარსებო წყაროებისთვის, თუმცა მის პროდუქტიულობას ზღუდავს მოძველებული სარწყავი ინფრასტრუქტურა, წყლის არაეფექტიანი მართვა და კლიმატის ცვლილების მიმართ მზარდი მოწყვლადობა. განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოში სარწყავი სისტემების მდგომარეობას ამძიმებს ფიზიკური ცვეთა, წნევიანი სისტემების შეზღუდული გავრცელება, სუსტი მმართველობითი მექანიზმები და არასაკმარისი ფინანსური მდგრადობა. კლიმატური ცვალებადობა, წყლის დეფიციტი და მიწის დეგრადაცია კიდევ უფრო ზრდის სასურსათო უსაფრთხოებისა და ფერმერთა შემოსავლების რისკებს.

17. ამ გამოწვევების საპასუხოდ აზიის განვითარების ბანკი (ADB) მხარს უჭერს კლიმატგონივრული ირიგაციის სექტორის განვითარების პროგრამას (CSISDP), რომელიც იყენებს სექტორულ მიდგომას და აერთიანებს პოლიტიკისა და ინსტიტუციურ რეფორმებს მიზნობრივ ინფრასტრუქტურულ ინვესტიციებთან და კლიმატგონივრული სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის ხელშეწყობასთან. პროგრამა შეესაბამება საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პრიორიტეტებსა და ADB-ის სტრატეგიას კლიმატური მდგრადობის, რესურსების მდგრადი მართვისა და სოფლის განვითარების მიმართულებით.

18. CSISDP აერთიანებს პოლიტიკაზე დაფუძნებულ სესხსა და საინვესტიციო დაფინანსებას. პროგრამა ითვალისწინებს სამ ურთიერთდაკავშირებულ შედეგს, რომლებიც ერთმანეთს აძლიერებს:

1. ინსტიტუციური, მმართველობითი და ფინანსური მართვის ჩარჩოს გაუმჯობესება. ეს კომპონენტი მხარს უჭერს რეფორმებს ირიგაციისა და წყლის რესურსების მართვის სამართლებრივი, ინსტიტუციური, მმართველობითი და ფინანსური ჩარჩოების გაუმჯობესებლად. ძირითადი მიმართულებები მოიცავს სექტორული ზედამხედველობის გაძლიერებას, სარწყავი მომსახურების მიწოდებისა და ანგარიშვალდებულების გაუმჯობესებას, ფინანსური მდგრადობის გაძლიერებასა და მართვის პრაქტიკის გაუმჯობესებას სარწყავი აქტივების გრძელვადიანი ექსპლუატაციისა და მოვლა-პატრონობის უზრუნველსაყოფად.
2. სარწყავი ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია. პროგრამა აფინანსებს აღმოსავლეთ საქართველოში პრიორიტეტული სარწყავი სისტემების მოდერნიზაციას, განსაკუთრებული აქცენტით ქვემო სამგორის მარცხენა მაგისტრალური არხის სარწყავ სისტემაზე. ინვესტიციები მოიცავს მაგისტრალური არხების ბოლო 17.5 კმ მონაკვეთის

რეაბილიტაციასა და შეკეთებას, წყლის დანაკარგების შემცირებას და მეურნეობის დონეზე წნევიანი სარწყავი ქსელების დანერგვას. აღნიშნული ღონისძიებების მიზანია არსებული სისტემის მოდერნიზაცია, წყლის გამოყენების ეფექტიანობის გაზრდა, საიმედო სარწყავი მომსახურების არეალის გაფართოება და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტიულობის გაუმჯობესება.

3. კლიმატგონივრული სასოფლო-სამეურნეო სისტემების დემონსტრირება და დანერგვა. ეს კომპონენტი საპილოტე და სადემონსტრაციო ღონისძიებების მეშვეობით ხელს უწყობს ინოვაციური, კლიმატგონივრული სარწყავი და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ტექნოლოგიების დანერგვას. იგი მოიცავს ფერმერთა ტრენინგსა და შესაძლებლობების გაძლიერებას, ეფექტიანი სარწყავი მეთოდების დანერგვის მხარდაჭერას და დამატებით ღონისძიებებს, როგორიცაა ქარსაფარი ზოლების მოწყობა ნიადაგის ეროზიის შესამცირებლად და კულტურების დასაცავად. კომპონენტი ასევე ითვალისწინებს დანერგვის ხელშემშლელი ფაქტორების დაძლევას, მათ შორის ცოდნაზე, ფინანსურ რესურსებსა და თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას.

4. ინსტიტუციური ჩარჩო — პროგრამა ხორციელდება ეროვნული ინსტიტუტების ერთობლივი მონაწილეობით. ფინანსთა სამინისტრო წარმოადგენს პოლიტიკაზე დაფუძნებული რეფორმის კომპონენტის აღმასრულებელ უწყებას, ხოლო საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო (MEPA) პასუხისმგებელია საინვესტიციო კომპონენტების განხორციელებაზე სპეციალურად შექმნილი პროექტის განმახორციელებელი ერთეულის მეშვეობით. „საქართველოს მელიორაცია“ მონაწილეობს ტექნიკურ განხილვაში და რეაბილიტირებული სარწყავი ინფრასტრუქტურის დასრულების შემდეგ, სავარაუდოდ, აიღებს მის ექსპლუატაციასა და მოვლა-პატრონობაზე პასუხისმგებლობას.

2.2. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო (MEPA)

19. MEPA არის ძირითადი განმახორციელებელი სააგენტო, რომელიც პასუხისმგებელია CSISDP-ის საინვესტიციო და ტექნიკური კომპონენტების განხორციელებაზე. იგი უზრუნველყოფს პროგრამის საერთო განხორციელების ზედამხედველობას, დაინტერესებულ მხარეებთან კოორდინაციას, ADB-ის სასესხო შეთანხმებით გათვალისწინებული პირობების შესრულებასა და პროგრამის პროგრესის შესახებ ანგარიშგებას.

20. MEPA-ს ფარგლებში შექმნილია პროექტის განმახორციელებელი ერთეული (PIU), რომელიც დაკომპლექტებულია სპეციალისტთა გუნდით და პასუხისმგებელია ყოველდღიური საქმიანობის, შესყიდვების, სამშენებლო სამუშაოების, საკონსულტაციო მომსახურებისა და მონიტორინგის ღონისძიებების მართვაზე. საქართველოს მთავრობამ MEPA განსაზღვრა პროგრამის განხორციელების წამყვან უწყებად, რომელიც პასუხისმგებელია როგორც ეროვნულ სტანდარტებთან, ისე ADB-ის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფაზე.

2.3. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო (MoF)

21. ფინანსთა სამინისტრო წარმოადგენს პოლიტიკაზე დაფუძნებული რეფორმის კომპონენტისა და პროგრამის ფისკალური ნაწილის აღმასრულებელ უწყებას. MoF კოორდინაციას უწევს დაფინანსების შეთანხმებასთან დაკავშირებული პოლიტიკის ღონისძიებების შესრულებას, მათ შორის მმართველობის, წყლის ტარიფების ჩარჩოებისა და სექტორის მდგრადობის უზრუნველმყოფელი ინსტიტუციური რეფორმების მიმართულებით. ფინანსური მართვის ნაწილში MoF ზედამხედველობს სესხის პირობების შესრულებას და უზრუნველყოფს პროგრამის ინტეგრაციას ეროვნულ საბიუჯეტო და საჯარო ფინანსების მართვის სისტემებთან.

2.4. პროექტის განმახორციელებელი ერთეული (PIU)

22. პროგრამის საქმიანობის სამართავად MEPA-ს ფარგლებში შექმნილი PIU დაკომპლექტდება პროფესიონალებით, რომლებიც პასუხისმგებელი იქნებიან შესყიდვებზე, ტექნიკურ ზედამხედველობაზე, გარემოსდაცვითი და სოციალური უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობაზე, ფინანსურ ანგარიშგებასა და ADB-სა და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან კოორდინაციაზე.

23. PIU ხელმძღვანელობს საინვესტიციო სამუშაოების განხორციელებას, როგორიცაა სარწყავი ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია და კლიმატგონივრული ტექნოლოგიების სადემონსტრაციო ღონისძიებები.

2.5. პროექტის ადგილობრივი მენეჯერი (NPM)

24. PIU-ს ხელმძღვანელობს პროექტის ადგილობრივი მენეჯერი (NPM), რომელიც პასუხისმგებელია განხორციელების საერთო კოორდინაციაზე, მათ შორის სამშენებლო სამუშაოებისა და საკონსულტაციო მომსახურების დაგეგმვაზე, მონიტორინგსა და ზედამხედველობაზე. NPM წარმოადგენს MEPA-ს, ADB-ს, კონტრაქტორებს, კონსულტანტებსა და პროექტის სხვა დაინტერესებულ მხარეებს შორის ძირითად საკონტაქტო პირს.

25. მის მოვალეობებში შედის ADB-ის გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების მართვის პოლიტიკის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა, ანგარიშების დროული წარდგენა, დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის კოორდინაცია და რისკების მართვა. საანგარიშო პერიოდში პროექტის ადგილობრივი მენეჯერი შეირჩა და პროექტის განხორციელების ხელმძღვანელობა დაევალა. PIU კვლავ აგრძელებს პროექტის დანარჩენი პერსონალის შერჩევას.

2.6. შპს „საქართველოს მელიორაცია“ (GA)

26. „საქართველოს მელიორაცია“ მნიშვნელოვან ტექნიკურ როლს ასრულებს ირიგაციის მართვაში და წარმოადგენს რეაბილიტირებული სარწყავი სისტემების მომავალ ოპერატორს. ორგანიზაცია მონაწილეობს საპროექტო დოკუმენტაციის ტექნიკურ განხილვაში და საინვესტიციო სამუშაოების დასრულების შემდეგ მხარს უჭერს სისტემის ექსპლუატაციასა და მოვლა-პატრონობას, ირიგაციის მომსახურების მიწოდების ეფექტიანობისა და ანგარიშვალდებულების გაუმჯობესების რეფორმების შესაბამისად.

3. საპროექტო გადაწყვეტებში განხორციელებული ცვლილებების აღწერა

27. მე-5 და მე-6 ზონებში გარკვეული სამშენებლო სამუშაოები „საქართველოს მელიორაციამ“ (GA) ADB-ის დაფინანსების დაწყებამდე განახორციელა. 2025 წლის აპრილში გამართულ ტექნიკურ სამუშაო შეხვედრაზე ADB-ს ეცნობა, რომ მე-5 ზონის გამანაწილებელი არხების მოდერნიზაცია (დაახლოებით 680 ჰა) უკვე დასრულებული იყო, ხოლო მე-6 ზონის დაახლოებით ნახევარი (დაახლოებით 1,263 ჰა) ასევე სახელმწიფო სახსრებით იყო დასრულებული, ADB-ისთვის წინასწარი შეტყობინების გარეშე. სახელმწიფო დაფინანსების მიუხედავად, მე-5 და მე-6 ზონები კვლავ პროექტის ფარგლებში რჩება; შესაბამისად, მათზე კვლავ ვრცელდება ADB-ის გარემოსდაცვითი და სოციალური უსაფრთხოების მოთხოვნები. საკითხის მოსაგვარებლად ADB-მ PIU-ს დახმარება გაუწია სოციალური და გარემოსდაცვითი შესაბამისობის კვლევის ანგარიშების (DDR) ტექნიკური დავალებების მომზადებაში. ვინაიდან აღნიშნული სამუშაო PIC-ის თავდაპირველ სამუშაოთა მოცულობაში არ შედიოდა, საჭიროა ხელშეკრულების ცვლილება, რომელიც ADB-ს დასამტკიცებლად 2026 წლის 30 იანვრამდე უნდა წარედგინოს. DDR-ები მომზადდება PIC-ისთვის შესაბამისი დავალების მიცემიდან სამი თვის განმავლობაში. შესაბამისობის კვლევის დასრულებისა და საჭირო მაკორექტირებელი ღონისძიებების განხორციელების შემდეგ ADB MEPA-ს შემდგომ ნაბიჯებთან დაკავშირებით მითითებებს მისცემს. ამის შემდეგ მე-5 და მე-6 ზონები პროექტის ფარგლებიდან გამოირიცხება და განისაზღვრება პროექტის შესაძლო დანაზოგი.

28. შესაბამისობის კვლევის ფარგლებში შეფასდება მიწის შესყიდვასთან დაკავშირებული პოტენციური ზემოქმედება, კომპენსაციისა და საარსებო წყაროს აღდგენის ღონისძიებები, დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციის პროცესები და LARP-ით გათვალისწინებული საჩივრების განხილვის მექანიზმები. ამასთანავე, IEE-ის ფარგლებში შეფასდება გარემოზე ზემოქმედების იდენტიფიცირება, შემარბილებელი ღონისძიებები, გარემოსდაცვითი მართვის გეგმები და მონიტორინგის ღონისძიებები. კვლევის შედეგები გამოყენებული იქნება ხარვეზების გამოსავლენად, საჭიროების შემთხვევაში, გარემოსდაცვითი და სოციალური უსაფრთხოების დოკუმენტაცია განახლდება, ხოლო PIU-სა და შესაბამის უწყებებში განხორციელების შესაძლებლობები გაძლიერდება, რათა სოციალური და გარემოსდაცვითი რისკები ეფექტიანად იმართოს და პროექტის ღონისძიებები განხორციელდეს სოციალური პასუხისმგებლობისა და გარემოსდაცვითი მდგრადობის პრინციპების დაცვით.

3.1. სოციალური დაცვის ღონისძიებების აღწერა

29. კლიმატგონივრული ირიგაციის სექტორის განვითარების პროგრამის ფარგლებში სოციალური დაცვის ღონისძიებები რეგულირდება 1-ლი ზონისთვის დამტკიცებული მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმით (LARP, დოკუმენტი № 1085-077-GEO; პროექტი — 2023 წლის ივლისი; განახლებული — 2025 წლის სექტემბერი), მაგისტრალური არხის მონაკვეთი 1-ის განახლებული LARP-ით (2026 წლის მარტი) და ამჟამად მომზადების პროცესში არსებული მე-5 და მე-6 ზონების სოციალური შესაბამისობის კვლევის ანგარიშითა და მაკორექტირებელ ღონისძიებათა გეგმით (SDDR/CAP). ADB-ის გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების მართვის პოლიტიკის (SPS, 2009) მოთხოვნების შესაბამისად, იმ საპროექტო ტერიტორიებზე, რომლებსაც დეტალური საინჟინრო პროექტები აქვთ, დასრულებულია სოციალური სკრინინგი და ზემოქმედების შეფასება. მიწის შესყიდვისა და განსახლების დოკუმენტები განსაზღვრავს და აფასებს მიწის შესყიდვისა და განსახლების ყველა მოსალოდნელ ზემოქმედებას და ითვალისწინებს შესაბამის შემარბილებელ ღონისძიებებს.

30. პროექტის სოციალური დაცვის ღონისძიებების ძირითადი დოკუმენტია 1-ლი ზონის მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმა (LARP, დოკუმენტი № 1085-077-GEO; პროექტი — 2023 წლის ივლისი; განახლებული ვერსია — 2025 წლის სექტემბერი), რომელიც მომზადდა 1-ლი ზონის გამანაწილებელი ქსელის მოდერნიზაციის სამუშაოებისთვის. 1-ლი ზონის LARP-ის თანახმად, პროექტი იძულებითი განსახლების თვალსაზრისით B კატეგორიას მიეკუთვნება. სამუშაოების შედეგად მუდმივი სერვიტუტით დაიტვირთება 1,106 კერძო სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი, რომელთა საერთო ფართობია 105,618 მ². ზემოქმედების ქვეშ მოექცევა 1,095 შინამეურნეობა (AHH), რომელიც დაახლოებით 4,695 პირს (AP) აერთიანებს. მათგან 19 შინამეურნეობა მნიშვნელოვანი ზემოქმედების ქვეშ მოექცევა, ხოლო 4 მოწყვლად შინამეურნეობად არის კლასიფიცირებული. LARP დამტკიცებულია ADB-ის მიერ და მის განხორციელებამდე განახლდება საბოლოო დეტალური საინჟინრო პროექტის (DED) საფუძველზე.

31. მაგისტრალური არხის მონაკვეთი 1-ისთვის (პკ 313+42-დან პკ 397+00-მდე, 8.4 კმ) მომზადებულია ცალკე განახლებული LARP (2026 წლის მარტი). ეს LARP მოიცავს ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ 12 მიწის ნაკვეთს (4 კერძო, 8 სახელმწიფო საკუთრებაში), საერთო ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ფართობით 21,372 მ², საიდანაც 1,010.6 მ² კერძო მიწაა. პროექტი იძულებითი განსახლების თვალსაზრისით კლასიფიცირებულია B კატეგორიად, ხოლო მკვიდრი მოსახლეობის თვალსაზრისით — C კატეგორიად. ფიზიკური გადაადგილება მოსალოდნელი არ არის.

32. LARP-ის თანახმად, ერთი მიწის ნაკვეთი დაურეგისტრირებელია, თუმცა მასზე საკუთრების უფლების აღიარება და რეგისტრაცია შესაძლებელია. PIC-ის სოციალური დაცვის ღონისძიებების სპეციალისტის მხარდაჭერით, PIU ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ შინამეურნეობას დაეხმარება საკუთრების უფლების აღიარებისა და რეგისტრაციისთვის საჭირო პროცედურების გავლაში, მათ შორის საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში (NAPR) შესაბამისი პროცედურების განხორციელებაში. საჭიროების შემთხვევაში, PIU ასევე უზრუნველყოფს რეგისტრაციასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურებას ან დაფარვას. მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია კომპენსაციის გაცემამდე უნდა

დასრულდეს.

33. შეფასების მთელი პროცესის განმავლობაში აუცილებელია სოციალურ და გარემოსდაცვით უსაფრთხოების საკითხებზე კოორდინაციის შენარჩუნება, რათა ზემოქმედების იდენტიფიცირება და შემარბილებელი ღონისძიებები თანმიმდევრულად განხორციელდეს, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც სამშენებლო სამუშაოებმა შეიძლება გამოიწვიოს წვდომის დროებითი შეზღუდვა, სარწყავი მომსახურების შეფერხება ან მშენებლობის ეტაპზე საარსებო წყაროებთან დაკავშირებული ზემოქმედება. დეტალური პროექტირებისას ან მშენებლობის დაწყებამდე გამოვლენილი ობიექტის სპეციფიკური სოციალური საკითხები მოგვარდება LARP-ის განახლების, კონტრაქტორის ვალდებულებებისა და პროექტის საჩივრების განხილვის მექანიზმის (GRM) მეშვეობით.

34. პროექტის ფარგლებში დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციები ორ დონეზე ჩატარდა. 1-ლი ზონის გამანაწილებელი ქსელისთვის 2022 წლის სექტემბერში პროექტის სოფლებში — კაკაბეთში, ჩაილურში, ყანდაურასა და მანავში — ჩატარდა ოთხი საჯარო კონსულტაცია, სულ 67 მონაწილის, მათ შორის 16 ქალის, მონაწილეობით. კონსულტაციებზე განხილული იყო პროექტის მოცულობა, მოსალოდნელი LAR-ის ზემოქმედება, კომპენსაციის მიღების უფლებები, GRM-ის საკონტაქტო ინფორმაცია და ADB-ის ანგარიშვალდებულების მექანიზმის შესახებ ინფორმაცია. მონაწილეებს დაურიგდათ ქართულენოვანი საინფორმაციო ბროშურები LAR-ის შესახებ. 2022 წლის ივნისიდან სექტემბრამდე, აღწერისა და დეტალური აზომვითი კვლევის ფარგლებში, ინდივიდუალური კონსულტაციები ჩატარდა ყველა 1,095 AHH-თან. მაგისტრალური არხის მონაკვეთი 1-ისთვის კონსულტაციები გაიმართა 2025 წლის აპრილსა და 2026 წლის მარტში. საანგარიშო პერიოდში (პროექტის ძალაში შესვლიდან 2025 წლის დეკემბრამდე) პროექტის დონეზე ახალი კონსულტაციები არ ჩატარებულა, რადგან სამშენებლო სამუშაოები არ დაწყებულა.

35. მშენებლობის ეტაპზე შესაძლო სოციალური ზემოქმედება, მათ შორის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის დროებითი შეფერხება, წვდომის შეზღუდვა და პერსონალსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის ურთიერთქმედება, გათვალისწინებული და სათანადოდ მართული იქნება შესაბამისი პროაქტიული შემარბილებელი ღონისძიებების, ზედამხედველობისა და მონიტორინგის მეშვეობით. ორსაფეხურიანი საჩივრების განხილვის მექანიზმი შეიქმნება და ამოქმედდება სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე.

3.2. დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაცია და ინფორმაციის გასაჯაროება

36. საანგარიშო პერიოდში სოციალური დაცვის ღონისძიებებთან დაკავშირებული პროექტის დონის დაინტერესებულ მხარეთა კონსულტაციები ჩატარდა 2022 წლის სექტემბერში 1-ლი ზონისთვის (ოთხი სათემო შეხვედრა, 67 მონაწილე, მათ შორის 16 ქალი) და 2025 წლის აპრილში ADB-ის ტექნიკურ სამუშაო შეხვედრასა და PIC-ის მობილიზაციასთან დაკავშირებით. მაგისტრალური არხის მონაკვეთი 1-ისთვის შემდგომი კონსულტაცია 2026

წლის მარტში, ამ საანგარიშო პერიოდის დასრულების შემდეგ, ჩატარდა. საანგარიშო პერიოდში დამატებითი კონსულტაციები არ ჩატარებულა, რადგან სამშენებლო სამუშაოები არ დაწყებულა.

სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე PIU, PIC-ის მხარდაჭერით, გამართავს საჯარო საინფორმაციო შეხვედრებს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ თემებში. შეხვედრების დღის წესრიგი მოიცავს: (i) დადასტურებულ სამშენებლო გრაფიკსა და კონტრაქტორის მობილიზაციის ვადებს; (ii) LAR-თან დაკავშირებული ზემოქმედების მასშტაბს, კომპენსაციის მიღების უფლებებსა და დამტკიცებული LARP-ის შესაბამისად გადახდის პროცესს; (iii) მშენებლობის პერიოდში საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ღონისძიებებს; (iv) ორსაფეხურიანი GRM-ის სტრუქტურას, საკონტაქტო ინფორმაციასა და საჩივრის წარდგენის პროცედურებს; და (v) ADB-ის ანგარიშვალდებულების მექანიზმს. კონსულტაციები ჩატარდება ქართულ ენაზე, განსაკუთრებული ძალისხმევით ქალების, ხანდაზმული პირებისა და სხვა მოწყვლადი ჯგუფების მონაწილეობის უზრუნველსაყოფად. ინფორმაცია გავრცელდება საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მომსახურების ცენტრისა და ადგილობრივი ხელისუფლების ქსელების მეშვეობით. დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის ღონისძიებები კოორდინირებული იქნება კონტრაქტორის მობილიზაციის გეგმასთან, რათა თითოეულ მონაკვეთზე სამუშაოების დაწყებამდე თემები წინასწარ იყვნენ ინფორმირებული. კონსულტაციების ყველა ჩანაწერი დაერთვება მომდევნო SSMR-ს.

3.3. საჩივრების განხილვის მექანიზმი

37. CSISDP-ისთვის შემუშავებულია პროექტის დონის ორსაფეხურიანი საჩივრების განხილვის მექანიზმი (GRM), რომელიც აღწერილია დამტკიცებულ LARP-ში (პუნქტები 91–99). GRM მოიცავს: (i) I საფეხურს — საჩივრების განხილვის ჯგუფს (GRG) ადგილობრივ/მუნიციპალურ დონეზე, რომლის შემადგენლობაშიც შედიან PIU-ისა და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები, კონტრაქტორის დაცვის ღონისძიებების სპეციალისტები, PIC-ის დაცვის ღონისძიებების სპეციალისტი და GA-ს წარმომადგენლები; და (ii) II საფეხურს — საჩივრების განხილვის კომისიას (GRC) PIU-ის ცენტრალურ დონეზე, რომლის შემადგენლობაშიც შედიან PIU-ის მენეჯერი, PIU-ის დაცვის ღონისძიებების სპეციალისტი, PIC-ის განსახლების სპეციალისტი, GA-ს ინჟინრები და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები. PIC-ის განსახლების ეროვნული სპეციალისტი ასრულებს GRM-ის საკონტაქტო პირის ფუნქციას. GRM-ის შექმნის პროცესი მიმდინარეობს; ინჟინრის სოციალური სპეციალისტის საკონტაქტო ინფორმაცია ხელმისაწვდომია დაინტერესებული მხარეებისა და კომისიებისთვის. ორსაფეხურიანი GRM ამოქმედდება სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე. GRM-ის შესახებ დეტალური ინფორმაცია ასევე გავრცელდება 3.2 ქვეთავში აღწერილი მშენებლობისწინა სათემო კონსულტაციების ფარგლებში, ხოლო დამატებითი ინფორმაცია აისახება მომდევნო მონიტორინგის ანგარიშში. საანგარიშო პერიოდში საჩივრები არ შემოსულა.

3.4. საზოგადოებრივი ჯანმრთელობა და უსაფრთხოება

38. საანგარიშო პერიოდში სამშენებლო სამუშაოები არ განხორციელებულა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ინციდენტები არ დაფიქსირებულა. მშენებლობის დაწყებამდე და მისი მიმდინარეობისას განხორციელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების შემდეგი ღონისძიებები: (i) თითოეულ მონაკვეთზე სამუშაოების დაწყებამდე ზემოქმედების ქვეშ მოქცეული თემებისა და მიწის მესაკუთრეების წინასწარი ინფორმირება; (ii) დადასტურება, რომ სამშენებლო სამუშაოების გრაფიკი სასოფლო-სამეურნეო სარწყავი სეზონის განმავლობაში არ გამოიწვევს სარწყავი წყლის მიწოდების შეფერხებას; (iii) კონტრაქტორის ხელშეკრულებაში პერსონალსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის ურთიერთქმედების პროტოკოლების გათვალისწინება, რომლებიც მოიცავს კერძო მიწაზე უნებართვო წვდომის შეზღუდვებსა და თემის საჩივრების მართვის პროცედურებს; და (iv) სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიებსა და მისასვლელ გზებთან ახლოს მოქმედ სამუშაო ფრონტებზე ფიზიკური გამიჯვნა/მონიშვნა და შესაბამისი ნიშნების განთავსება. აღნიშნული ღონისძიებები შეტანილი იქნება კონტრაქტორის სახელშეკრულებო ვალდებულებებში, მათ ზედამხედველობას განახორციელებს PIC, ხოლო მონიტორინგს — PIU. ნებისმიერი ინციდენტი აისახება შესაბამისი პერიოდის SSMR-ში.

3.5. სოციალური მონიტორინგი და შესაბამისობის შეფასება

39. საანგარიშო პერიოდში კლიმატგონივრული ირიგაციის სექტორის განვითარების პროგრამის ფარგლებში სამშენებლო ან სხვა ფიზიკური სამუშაოები არ განხორციელებულა. შესაბამისად, არ არსებობდა მოქმედი ობიექტები, რომლებიც სოციალური დაცვის ღონისძიებების მონიტორინგს საჭიროებდა. ADB-ის გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების მართვის პოლიტიკის (SPS, 2009) მოთხოვნების შესაბამისად, ობიექტების ინსპექტირება არ ჩატარებულა, რადგან სამშენებლო საქმიანობის არარსებობის გამო ინსპექტირების ჩატარების საჭიროება არ არსებობდა. პროექტის სოციალური მონიტორინგი ეფუძნება დამტკიცებულ LAR-ის დოკუმენტებს — კერძოდ, 1-ლი ზონის LARP-ს (დოკუმენტი № 1085-077-GEO), მაგისტრალური არხის მონაკვეთი 1-ის LARP-ს (2026 წლის მარტი) — და პროექტის GRM-ს. პროექტის ამ კლასიფიკაციისთვის ცალკე სოციალური მართვის გეგმა საჭირო არ არის. მომდევნო საანგარიშო პერიოდის მონიტორინგის პარამეტრები მოიცავს: (i) 1-ლი ზონის LARP-ის ფარგლებში AHH-ებისთვის კომპენსაციის გადახდის სტატუსს და დადასტურებას, რომ ყველა გადახდა დასრულებულია მშენებლობისთვის მიწაზე წვდომის უფლების მინიჭებამდე; (ii) მაგისტრალური არხის მონაკვეთი 1-ის LARP-ის ფარგლებში 12 მიწის მესაკუთრისთვის კომპენსაციის გადახდის სტატუსს; (iii) GRM-ის შექმნასა და ამოქმედებას; (iv) მშენებლობისწინა დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების ჩანაწერებს; (v) მიღებულ, გადაწყვეტილ და განხილვის პროცესში მყოფ საჩივრებს; და (vi) მშენებლობისას გამოვლენილ ნებისმიერ გაუთვალისწინებელ სოციალურ ზემოქმედებასა და განხორციელებულ მაკორექტირებელ ღონისძიებებს.

3.6. სოციალური ტრენინგი და შესაძლებლობების გაძლიერება

40. წინასწარი შეფასება გამოავლენს კონტრაქტორებისთვის სოციალური დაცვის ღონისძიებების საკითხებზე ტრენინგის საჭიროებას, განსაკუთრებით LARP-ის განხორციელების, GRM-ის ფუნქციონირებისა და შრომის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის საკითხებზე. აღნიშნული ტრენინგები დაიგეგმება მომდევნო საანგარიშო პერიოდისთვის.

41. საანგარიშო პერიოდში პროექტი კვლავ განხორციელებისწინა ეტაპზე იყო და სამშენებლო სამუშაოები, ობიექტზე მობილიზაცია ან სხვა ფიზიკური საქმიანობა არ დაწყებულა. შესაბამისად, ამ პერიოდში სოციალური დაცვის ღონისძიებების ცალკეული კომპონენტების განხორციელების საჭიროება არ არსებობდა, მათ შორის სოციალური მონიტორინგის, დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების, საჩივრების განხილვის მექანიზმის ფუნქციონირების, შრომის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ღონისძიებების, სოციალური საკითხების შესახებ ტრენინგებისა და შესაბამისობის ინსპექტირების. აღნიშნული ღონისძიებების განუხორციელებლობა პროექტის მიმდინარე ეტაპით იყო განპირობებული და მოთხოვნებთან შეუსაბამობას არ წარმოადგენს. საანგარიშო პერიოდში სოციალური დაცვის სფეროში საქმიანობა ძირითადად მოსამზადებელ და საპროექტო სამუშაოებზე იყო ორიენტირებული. ამ ეტაპზე ჯერ განუხორციელებელი ყველა შესაბამისი ღონისძიება შესრულდება მშენებლობის დაწყებამდე ან მშენებლობის მიმდინარეობისას, დამტკიცებული LARP-ის, ეროვნული კანონმდებლობისა და ADB-ის გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების მართვის პოლიტიკის (SPS, 2009) მოთხოვნების შესაბამისად.